

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და
სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავის საჯარო სკოლას შორის
ურთიერთთანამშრომლობის

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ქ. ახალციხე

15. 12. 2017 წ.

ერთი მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავის საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნუკრი ჩიტორელიძის სახით (ორივე მხარე ერთად - „მხარეებად“ წოდებულნი), მხარეები ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1.

მემორანდუმის ძირითადი მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განათლების სფეროში. უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო პროგრამისა და „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო პრაქტიკის ბაზის შექმნა, ასევე სხვა საგანმანათლებლო ურთიერთთანამშრომლობის განხორციელება ორმხრივი ინტერესების ფარგლებში.

მუხლი 2.

1. მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას შემდეგზე:

უნივერსიტეტი:

- ა) უზრუნველყოფს სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარებას სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;
- ბ) უზრუნველყოფს სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვას;
- გ) უზრუნველყოფს სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიურ ჩართვას.

სკოლა:

- ა) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დაწყებითი განათლების“ საბაკალავრო და „მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკით, რისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს;
 - ბ) ხელს შეუწყობს მემორანდუმის მიზნის განხორციელებას.
2. მხარეებს შეუძლიათ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სკოლის პედაგოგების მეშვეობით, მოამზადონ ერთობლივი სასწავლო და კვლევითი პროექტები.

მუხლი 3.

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4.

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5.

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7.

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი,

მერაბ ბერიძე

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის

სოფელ ზანავის საჯარო სკოლა

დირექტორი

ნუკრი ჩიტორელიძე

